2-3425/19
04-03-2019

საქართველოს პარლამენტის
იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ანრი ოხანაშვილს

ბატონო ანრი,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საპარლამენტო ფრაქცია - „ევროპული საქართველო“ მოითხოვს კომიტეტის სხდომაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის - გიორგი გახარიას სავალდებულო მოწვევას. ჩვენი ინტერესის საგანია ,,თიბისი“ ბანკთან დაკავშირებული მოვლენები, კერძოდ ,,თიბისი ბანკის“ დამფუძნებელმა, მამუკა ხაზარაძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა - გიორგი გახარიამ მას მუქარის შემცველი წერილი გაუგზავნა. მამუკა ხაზარაძემ ასევე ისაუბრა კიბერ შეტევაზე, რომლის ჩამდენის იდენტიფიცირებაც პრაქტიკულად მოხდა, თუმცა გამოძიება შსს-ში თვეების მანძილზე უშედეგოდ მიმდინარეობს.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, „ევროპული საქართველო” მოითხოვს ბატონი გიორგი გახარიას დაუყოვნებლივ გამოცხადებას, რათა შს მინისტრმა უპასუხოს მის მიმართ არსებულ სერიოზულ კითხვებს.

პატივისცემით,

ფრაქციის თავმჯდომარე
ოთარი კახიძე